მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ აზიზკენდის

საჯარო სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის

მასწავლებლის მაგდანა ერაძის

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

,,მე-10 კლასის მოსწავლეებში ქართულ ენაზე

მეტყველების უნარის გაუმჯობესების გზების კვლევა”

2019 წელი

სარჩევი

შესავალი----------2

თავი I ---------- 4-6

საკვლევი საკთხის მიმხილვა, პრობლემის აქტუალობის დასაბუთება, სამიზნე ჯგუი

თავი II----------6-11

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი III----------11-13

საკვლევი კითხვების ფორმულირება, კვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის გეგმა

თავი IV---------- 13-19

კვლევის მეთოდების განხილვა, ინტერვენციის დაგეგმვა, ინტერვეცნიების შედეგი და მათი ანალიზი

თავი V----------19-22

ცხრილებისა და დიაგრამების ჩამონათვალი

თავი VI----------22-23

პრაქტიკული კვლევის არსი და სკოლაში მისი დანერგვა

თავი VII ----------24-28

პროექტის ვადები, მიგნებები, რეკომენდაციები, კვლევის ნაკლოვანებები, დასკვნა, ბიბლიოგრაფია.

რეფლექსია----------29-32

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ აზიზკენდის საჯარო სკოლის მე-10ა და სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ მამწვარას საჯარო სკოლის მე-11 კლასში ქართულ ენაზე მეტყველების უნარის გაუმჯობესების საკითხი, რომელიც დავგეგმე და განვახორციელე ჩემს კოლეგასთან სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ მამწავარ საჯარო სკოლის ქართული, როგორც მეორე ენის მასწავლებელთან, რუსუდან ყაულაშვილთან, ერთად. კვლევაში ყურადღება გამახვილებულია საკვლევ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ინფორმაციაზე, პრობლემის გამომწვევ მიზეზებსა და პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობებზე.

სახელმწიფო ენის ფლობის დაბალი დონე აქტუალური პრობლემაა არა მარტო განათლების სამინისტროსთვის, არამედ მთლიანად საზოგადებისათვის. მოცემული საკითხის კვლევისთვის შევიმუშავეთ გეგმა, რომლის მიზანიც იყო მოსწავლეებში სახელმწიფო ენის ფლობის დონის (სამეტყველო უნარის) გაუმჯობესება. კვლევა ჩატარდა, როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივი თვისებების გამოყენებით. ინსტრუმენტებს კი წარმოადგენდა ფოკუსირებული დაკვირვება, კითხვარები, დიაგნოსტიკური გამოკითხვა. შედეგის მისაღწევად გამოყენებულ იქნა ინტერვენციები, რომლებიც კვლევის პროცესში საჭიროებიდან გამომდინარე დაიგეგმა.

კოლეგასთან ერთად დავგეგმე ინტერვენციები: შეცდომების დაშვების შიშის აღმოსაფხვრელად ვიდეორგოლის ჩენება, თვითშეფასების ანკეტის შევსება 4 თვის განმავლობაში, დიფერენცირებული მიდგომა, მუშაობა ჯგუფებსა და წყვილებში, ისტ და მოსასმენი ვიდეოები, დიალოგები/დებატები, როლური თამაშები, სიტყვების ახსნა/გამოცნობა, არაფორმალური გარემო, მოსწავლეები ჩავრთეთ სასკოლო ღონისძიებებში, რომლებშიც წარადგინეს წინასწარ მომზადებული საკონფერენციო თემები.

ნაშრომი შედგება 7 თავისგან. I თავში მოცემულია ინფორმაცია სკოლის შსახებ, საკვლევი საკითხის მიმოხილვა, კვლევის მიზანი და ამოცანები. II თავში განხილულია ლიტერტურა მოსწავლეებში სამეტყველო უნარის გუმჯობესების კუთხით. III თავში განხილულია საკვლევი კითხვები. IV თავში განხილულია კვლევის მეთოდები, ინტერვენციის დაგეგმვა, ინტერვენციების შედეგები და მათი ანალიზი. V თავში წარმოდგენილია ცხრილების და დიაგრამების ჩამონათვალი. VI თავი ეხება პრაქტიკული კვლევის არსს და სკოლაში მის დანერგვას. VII თავი მოიცავს ინფორმაციას კვლევის მეთოდოლოგიას და პროექტის ვადებს. აღწერილია კვლევის მიგნებები, რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები. ანგარიშს თანნ ერთვის დასკვნა, ბიბლიოგრაფია და დანართები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სახელმწიფოენაზე მეტყველების უნარის გაუმჯობესება, დიფერენცირებული მიდგომა, არაფორმალური გარემო, ცოდნის დონის ამაღლება, მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება, ჯგუფებსა და წყვილებში მუშაობა.

თავი I

ინფორმაცია სკოლის შესახებ.

სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ აზიზკენდის საჯარო სკოლა მდებაორებს სოფელ აზიზკენდში, რომელიც გახლავთ ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფელი. იგი რაიონულ ცენტრს მოშორებულია 12 კილომეტრით, ფაქტობრივად სოფელი მოწყვეტილია ქართულ გარემოს. შესაბამისად სოფელ აზიზკენდის საჯარო სკოლა გახლავთ აზერბაიჯანულენოვანი, რომლის მოსწავლეებსაც ქართული უტარდებათ კვირაში 5 საათი.

სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ აზიზკენდის საჯარო სკოლაში 369 მოსწავლეა, მათი სწავლა-აღზრდის საკითხს ემსახურება 56 მასწავლებელი. 1 უფროსი

მასწავლებელი და 55 პრაქტიკოს. სკოლაში 8 ქართული, როგორც მეორე ენის მასწავლებელია.

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა (არამდიდარი ფონდით), ისტ-ის ოთახი, თუმცა მუშაობს 5 კომპიუტერი არასრულყოფილად. სკოლას არ აქვს საგნობრივი კაბინეტები, ლაბორატორიები. შენობა ძველია, არ ექვემდებარება რესტავრაციას. საკლასო ოთახებიც მოუწესრიგებელია.

სამიზნე ჯგუფი არის საშუალო საფეხურის მე-10ა კლასი. კლასში 15 მოსწავლეა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო თხუთმეტივე მოსწავლემ. კვლევა განხორციელდა 2018-2019 სასწავლო წელს და მიმდინარეობდა მეორე სემესტრში, 4 თვე (თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი).

საკვლევი საკითხის მიმოხილვა.

პრაქტიკული კვლევის მიზანია მოსწავლეთა მიერ სახელმწიფო ენაზე (ქართულ ენაზე) მეტყველების უნარის გაუმჯობესება. მოსწავლეთა მიერ ქართულ ენაზე მეტყველების უნარის გაუმჯობესების გზების ძიება, პრობლემის გამოკვეთა და მათი გადაჭრის გზები.

პრობლემის აქტუალობის დასაბუთება.

სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა. ქართული, როგორც მეორე ენის სწავლების არსებითი ნიშანი გახლავთ ის, რომ მოსწავლემ შეძლოს სახელმწიფო ენის ფლობა, გამოყენება და ინტეგრაცია. მე-10 კლასში მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ ფლობს ქართული ენის ელემენტარულ სამეტყველო უნარებს, ნაწილი ფლობს გარკვეულწილად, მაგრამ ფაქტია, რომ ენის ფლობის დონე ძალიან დაბალია. მოსწავლეებს უჭირთ სიტყვების წარმოთქმა, პრობლემა აქვთ ფონეტიკაში (ვერ ანსხვავებენ ასო/ბგერებს დ/თ - ძ/წ), უჭირთ საკუთარი აზრის გადმოცემა და დასაბუთება, გაკვეთილზე თავს არიდებენ პასუხის გაცემას ქართულ ენაზე, უცხო

გარემოში, პრაქტიკის არქონის გამო, თავს იკავებენ დიალოგში ჩართვისგან. ქართული ენის, განსაკუთრებულად სამეტყველო უნარების, შესწავლის სურვილი შეიმჩნევა იმ მოსწავლეებში, რომელთაც სურთ სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებლებში. სკოლადამთავრებული სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ძალიან უჭირთ სწავლის გაგრძელება უნივერსიტეტებში, რადგან არ აქვთ სათანადო ცოდნა ქართულ ენაში, ხოლო ერთი წელი არ არის საკმარისი უნივერსიტეტში ისწავლონ ქართული ენა. მიიჩნევენ, რომ სკოლამ ისე უნდა განუვითაროს მოსწავლეს სამეტყველო უნარები, რომ დამოუკიდელად შეძლონ საზოგადოებაში მინიმალურ დონეზე ინტეგრირება, უნდა ჰქონდეთ ისეთი სამეტყველო უნარები, რომელთა გაუმჯობესებასაც უკვე დაუმოუკიდებლად შეძლებენ. გარდა ამისა, ბოლო პერიოდში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ მშობლებსაც სურთ, თავიანთმა შვილებმა ისწავლონ ქართული ენა.

კვლევის დაწყება განაპირობა იმ პრობლემების არსებობამ, რომელიც დავინახეთ მე-10ა, მე-11 კლასებში მეტყველების დროს. პრობლემის განსაზღვრის შემდეგ კოლეგასთან ერთად გადავწყვიტე კვლევის ჩატარება, რათა დაგვედგინა პრობლემის გამომწვევი მიზეზები, დაგვეგეგმა ინტერვენციები და მათი დახმარებით გადაგვეჭრა აღნიშნულიპრობლემა. შესაბამისად მიგვეღწია მიზნისთვის. კვლევის მინდინარეობის დროს სისტემატურად ვმართავდით სამუშაო შეხვედრებს და ერთმანეთს ვუზიარებდით აზრებს. გაკვეთილის გეგმებსაც ერთობლივად ვადგენდით.

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა

ენის შესწავლა საკმაოდ რთული პრობლემაა, რომელსაც სჭირდება როგორც შემსწავლელის შინაგანი მოტივაცია და გაკვეთილზე ჩართულობა, ასევე მრავალფეროვანი თანამედროვე ინოვაციური მეთოდების გამოყენება მასწავლებლის მიერ. ენის სწავლებაში დიდი როლი აქვს მასწავლებლის მიერ დასახულ მიზნებსა და

შექმნილ რესურს, მასწავლებლისა და მოსწავლეები ურთიერთპატივისცემას და კარგ დამოკიდებულებებს, წახალისებასა და მოსწავლეების დაინტერესებას.

მოსწავლეებში მეტყველებულის უნარის გაუმჯობესებისათვის გავეცანით ლიტერატურას, რომელშიც განხილულია ინოვაციური მეთოდები და მოსწავლეთა ფსიქოლოგიური მიდგომები ენის სწავლების პროცესში.

გავეცანით ნათია ქათამაძის წერილს ,,**ზეპირმეტყველების უნარის განვითარება უცხო ენის სწავლების პროცესში". რომელშიც დაწვრილებით განხილულია ზეპირმეტყველის სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეები და მეთოდები,რომლებიც დაგვეხმარება პრობლემის გადაჭრაში. ვიხელმძღვანელე აღნიშნული წერილით და გავიზიარე, რომ** ზეპირმეტყველების (სასაუბრო) უნარის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია უცხო ენის სწავლების პროცესში, ვინაიდან ის კომუნიკაციის ძირითადი წყაროა. ამ უნარის განვითარება ამავდროულად პრობლემურიცაა, რამდენადაც შესაფერისი აქტივობების დაგეგმვის გარდა, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია მოსწავლეების სოციალური უნარებიც, როგორიცაა თავდაჯერებულობა, თვითშეფასება, მოტივაცია. ზეპირმეტყველების უნარის განვითარებას ახლავს უამრავი ხელის შემშლელი ფაქტორი, მაგ: შიში ან სიმორცხვე, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს როგორც სასაუბრო თემის ირგვლივ შესაფერისი ლექსიკური ან გრამატიკული ერთეულების და სტრუქტურების არცოდნით, ასევე შეცდომის დაშვების შიშით. ამიტომ მასწავლებელმა ზეპირმეტყველების აქტივობების შერჩევისას უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეების სოციალური და ემოციური განვითარების დონე. საინტერესო და, სახალისო აქტივობების გარდა, მოსწავლეებისთვის აუცილებელია ჯანსაღი გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლე იგრძნობს მასწავლებლის კეთილგანწყობას და მხარდაჭერას და არ ექნება შეცდომის დაშვების შიში.

შესაძლებელია მასწავლებელმა აჩვენოს მოსწავლეებს ვიდეო, რომლებშიც წარმატებული პრეზენტატორები საჯაროდ გამოსვლის დროს შეცდომებს უშვებენ და

მათთვის არასასურველ სიტუაციაში აღმოჩნდებიან, თუმცა მაინც წარმატებულად აგრძელებენ გამოსვლას. მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ შეცდომა შესაძლებელია ნებისმიერმა ადამიანმა (ამ შემთხვევაში წარმატებულმა) დაუშვას და შესაძლოა დაეხმაროს მათ დაძლიონ სიმორცხვე ან შიში და გახდნენ უფრო თავდაჯერებულები. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე არ მოექცეს მასწავლებლის ზეგავლენის ქვეშ და არ შეასრულოს იძულებითი პერფორმანსი, პირიქით, დავაკისროთ მათ ისეთი დავალების შესრულება, რომელიც ნაკლებ საუბარს ითვალისწინებს, შევაქოთ მისი ნებისმიერი მცდელობა, რაც აუმაღლებს მას თვითშეფასებას და გაზრდის მის დავდაჯერებულობას. მასწავლებელი უნდა ეცადოს გაზარდოს მოსწავლის შინაგანი მოტივაცია წახალისებით, მოდელირებით და ასე მიიყვანოს მოსწავლე სასურველ შედეგამდე.

ამასთანავე აქტივობები უნდა იყოს მოსწავლეების დონის შესაფერისი, საინტერესო და სახალისო. ინსტრუქცია უნდა იყოს მკაფიო და ნათელი, რომ თითოეულმა მოსწავლემ საფუძვლიანად გაიგოს შესასრულებელი დავალება. დაცული უნდა იყოს დროის ლიმიტი, და მოსწავლეებმა წინასწარ უნდა იცოდნენ, როგორ და რა კრიტერიუმებით მოხდება მათი შეფასება. სალაპარაკო აქტივობებისთვის ძირითადად გამოიყენება შეფასების სქემები, ე.წ რუბრიკები, რომლებშიც ნათლადაა ასახული აქტივობის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები. ზეპირმეტყველების განმავითარებელი აქტივობები ძირითადად 2 მიმართულებით ფასდება: accuracy-სიზუსტე (გრამატიკა, წარმოთქმა, ლექსიკური მარაგი) და fluency – გაბმული მეტყველება.

წერილში წარმოდგენილია მეტყველების გაუმჯობესებისათვის მრავალფეროვანი აქტივობები: როლური თამაშები (სიტუაციური ამოცანები), გამოკითხვა წყვილებში, **მთხრობელობა (story-telling), დისკუსია/დებატები (discussions/debates), სად დგახარ? Where do you stand?** (ნათია ქათამაძე , 2016 წელი, ზეპირმეტყველების უნარის განვითარება უცხო ენის სწავლების პროცესში).

მნიშვნელოვანია მეტყველების სწავლების დროს მაყვალა ხარშილაძის , თამარ კერძაიას, ნანა ბერეკაშვილის წერილი ,,სახელმწიფო ენა და ინტეგრაციის პრობლემები“. ლამბერტი მიიჩნევს, რომ მეორე ენის დაუფლების ძირითადი ფაქტორი არის მოტივაცია, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინდივიდის იდენტურობის განვითარებაზე. ინსტრუმენტული ორიენტაციის მქონე ადამიანებისთვის მეორე ენის არის მხოლოდ ინსტრუმენტი რაიმეს მისაღებად. ინტეგრაციაზე ორიენტირებული მოტივაციის მქონე შემსწავლელს კი აქვს სურვილი და განზრახვა, იყოს ამ საზოგადოებაში ინტეგრირებული. მეორე ენის შესწავლისას უფრო წარმატებული არის ის, ვინც ამჯობინებს ინტეგრაციულ მიდგომა.

მეორე ენის დაუფლება ხდება ფორმალურ გარემოში, წაბაძვით, ან არაფორმალურ გარემოში. სპეციალისტების აზრით არაფორმალურ გარემოში სწავლება მიდის უფრო სწრაფად, არის უფრო ღრმა და მიღწეული შედეგებიც არის უფრო გამძლე (მაყვალა ხარშილაძე , თამარ კერძაია, ნანა ბერეკაშვილი - ,,სახელმწიფო ენა და ინტეგრაციის პრობლემები“, 2011).

ფრიად მნიშვნელოვანია ნათია გორგაძის წერილი ,, ენის შესწავლის სტრატეგიები და მისი აქტუალობის კვლევა ქართულის, როგორც მეორე ენის დასწავლის გაუმჯობესებისათვის“, რომელშიც ჩამოთვლილია ენის სწავლების სტრატეგიების კლასიფიკაცია , რომლებიც დაწვრილებით არის განხილული და ძალიან კარგი რესურსია გაკვეთილების სწორად დაგეგმვისათვის (ნათია გორგაძე ,,ენის შესწავლის სტრატეგიები და მისი აქტუალობის კვლევა ქართულის, როგორც მეორე ენის დასწავლის გაუმჯობესებისათვის“, 2011წ.).

დავით ახვლედიანი ,,მეტყველების განვითარებისთვის გამიზნული აქტივობები უცხოური ენის სწავლებისას“ 2015 წლის წერილი, რომელშიც მოცემულია რამდენიმე საინტერესო აქტივობა მეტყველების უნარის განვითარებისათვის:1. ენის ფლობის დაბალ დონეზე კარგი იქნება მოსწავლეებისათვის მარტივი ლექსიკური ერთეულების მიცემა, რომლებისგანაც შეადგენენ ფრაზებს, დაკარგული სიტყვები, 2.

,,გამომიცანი“,3. ,,აბსურდის ფილოსოფია“ მასწავლებელი დაფაზე ხატავს ხეს და რამოდენიმე ტოტს. მერე სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ ნებისმიერი მეტყველების ნაწილი ისე, რომ ჯერ არ ხსნის თამაშის არსს. მოსწავლეების მიერ ნათქვამ სიტყვებს ის ტოტებზე განალაგებს და სთხოვს მათ, შეადგინონ მათგან ტექსტი. მოსწავლეებს არ აქვთ უფლება, გამოტოვონ სიტყვა ან შეცვალონ მათი თანმიმდევრობა. მაგალითად, საწყის ეტაპზე შეიძლება როგორც სიტყვების რაოდენობის, ასევე ტოტების შემცირება. 4. სიტყვების ახსნა/გამოცნობა.

თინათინ კიღურაძისა და ეკატერინე ქუთათელაძის სახელმძვანელოში ,,ქართული, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდიკა“ მოცემულია ზეპირი კომუნიკაციისათვის შესამზადებელი სავარჯიშოები, აქტიური ლექსიკის გასავარჯიშებელი დავალებები, დაგეგმილი და დაუგეგმავი მეტყველების წარმართვის სტრატეგიები, კომუნიკაციის არავერბალური სტრატეგიები. გარდა ამისა სახელმძღვანელოს ახლავს პრაქტიკული დავალებების რვეული, რომლის შევსება დამეხმარა უკეთ გავრკვეულიყავი მეტყველების სწავლების საკითხებსა და მეთოდებში.

კვლავ ჩავიკითხეთ ქართული, როგორც მეორე ენის სტანდარტი, რომლის მიხედვით საშუალო საფეხურის ამ საფეხურზე ქართულის, როგორც მეორე ენის მთავარ აღმზრდელობით მიზნად კვლავ რჩება მოსწავლეში მოქალაქეობრივი შეგნებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

მოსწავლეს, რა სფეროც არ უნდა აირჩიოს მან პროფესიული საქმიანობისათვის, ქართული ენა დასჭირდება როგორც ინსტრუმენტი ცოდნისა და გამოცდილების გასამდიდრებლად. საშუალო საფეხურის მთავარი ამოცანაა მოსწავლის მომზადება ამა თუ იმ სფეროში სწავლის ან მუშაობის გასაგრძელებლად. ამდენად, მნიშვნელოვანია, არაქართულენოვან მოსწავლეთა ენის ფლობის დონე მიუახლოვდეს მშობლიური ენის ფლობის დონეს, რათა მათ დაუბრკოლებლად შეძლონ საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ჩართვა (ეროვნული სასწავლო გეგმა, ქართული, როგორც მეორე ენის სტანდარტი, 2011-2016 წწ.)

თავი III

საკვლევი კითხვების ფორმულირება, კვლევის მიზნები, ამოცანები.

კვლევის მთავარი კითხვა იყო, თუ რა უშლიდა ხელს მე-10 კლასში მოსწავლეთა ქართულ ენაზე მეტყველების გამომუშავებას/გაუმჯობესებას.

კვლევის მთავარ კითხვაში აღნიშნული პრობლემის მიზეზის დადგენაში დაგვეხმარა შემდეგ ქვეკითხვებზე პასუხის გაცემა:

- რა გავლენას ახდენს სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები მოსწავლეთა მეტყველების უნარის გაუმჯობესებაზე?
- რა ინტერესები აქვთ მოსწავლეებს და როგორ მოვახდინოთ საგაკვეთილო პროცესის მოსწავლეთა ინტერესებზე მორგება?
- რამდენად იგებენ მოსწავლეები გრამატიკულ კონსტრუქციებსა და ლექსიკას?
- არის თუ არა სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტები და დავალებები მოსწავლეებისათვის მისაღები შინაარსობრივად?
- არის თუ არა სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტები ავთენტური?
- ხომ არ არიან მოსწავლეები ორიენტირებულნი მხოლოდ შეფასებაზე?
- ხომ არ აქვთ შეცდომების დაშვების შიში?
- პრობლემის მიზეზი ხომ არ არის კომუნიკაციის ნაკლებობა?
- რამდენად უწყობს ხელს სახელმძღვანელოში მოცემული თემები და დავალებები სამეტყველო უნარ-ჩვევის გამომუშავებას?
- პრობლემის მიზეზი ხომ არ არის დაბალი მოტივაცია?
- როგორი გაკვეთილი იქნება მოსწავლეებისთვის შედეგიანი?
- რა გაზრდის მოსწავლეების ინტერესს სწავლისადმი?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად შევიმუშავეთ კვლევის გეგმა. კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით მონაცემთა შეგროვების მეთოდებად გამოვიყენეთ ღია და დახურული კითხვარები. ინტერვიუ, ფოკუსირებული დაკვირვება გაკვეთილზე.

კვლევის მიზანი და ამოცანები.

ინტერვენციის დაგეგმვამდე საჭირო იყო ჩამოგვეყალიბებინა პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები. აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით გავესაუბრეთ თანამშრომლებს, კითხვარის საშუალებით გამოვკითხეთ მშობლები, მოსწავლეები, ჩავატარეთ დიაგნოსტიკური ტესტი მეტყველების დონის დასადგენად, რომელშიც გამოვიყენეთ დიალოგები ნასწავლი მასალიდან.

კითხვარი მომზადდა მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის. მშობლს კითხვარი გავუგზავნეთ სახლში. მათ ჰქონდათ 3-4 დღე კითხვარის შესავსებად. კითხვარის შევსებაში მონაწილეობა მიიღო 15-მა მშობელმა.

გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი:

1. მშობლების უმეტესობა ფიქრობს, რომ თავიანთი შვილები ვერ ფლობენ ქართულ ენას, რადგან ისინი ცხოვორბენ იზოლირებულ გარემოში, არ აქვთ კონტაქტი ქართულ გარემოსთან, გარდა ამისა, არც ქართული ენის გაკვეთილზე ხდება ქართულად მეტყველება, რაც იწვევს მეტყველების პრობლემას.
2. მოსწავლეების უმეტესობა აღნიშნავს, რომ მათ აქვთ სურვილი ისწავლონ ქართული, ენა, აქვთ ლექსიკური მარაგი, მაგრამ არ აქვთ გამოცდილება და ამიტომ ვერ იყენებენ ნასწავლ სიტყვებს, რომლებით თანდათან დავიწყებას ეძლევა.
3. მოსწავლეებიცა და მშობლებიც ფიქრობენ, რომ სახელმძღვანელოში არ არის მოცემული საკმარისი აქტივობები მეტყველების გასაუმჯობესებლად, გარდა ამისა მოცემული თემები არ არის საინტერესო და არ არის ავთენტური.

4. მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ მათ ძალიან მოსწონთ ისტ-ით, მოსასმენი ვიდეოებით, ჯგუფური მუშაობებით ჩატარებული გაკვეთილები, რადგან ისინი საინტერესოა მათთვის და უფრო ადვილად ავლენენ საკუათარ შესაძლებლობებს.
5. მშობლების ნაწილი აღნიშნავს, რომ თავისი შვილი არ სწავლობს არც სხვა საგნებს და ძალიან ზარმაცია. მასწავლებელი კი მას ვერ დაეხმარება.
6. მშობლები ერთხმად მიუთითებენ, რომ თავად ვერ ეხმარებიან თავიანთ შვილებს გაკვეთილის მომზადებაში, რადგან არ იციან ქართული ენა.

კვლევის მიზანია, დავადგინოთ მოსწავლეებში ქართულ ენაზე მეტყველების პრობლემის მიზეზი და ინტერვენციების საშუალებით მოვახერხოთ ამპრობლემის გადაჭრა.

თავი IV

კვლევის მეთოდების განხილვა.

მონაცემთა შეგროვების თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს აქვთ სურვილი შეისწავლონ ქართული ენა, თუმცა არსებობს ხელისშემშლელი ფაქტორები: იზოლირებული გარემო (გოგონა მოსწავლეებს არ აქვთ ტელეფონები და სოციალური ქსელები, სოფელში არც ქართული არხები არ არის, მოსწავლეები იშვიათად გადიან სოფლიდან), მოსწავლეებს დახმარებას ვერ უწევენ ოჯხში, რადგან არც ოჯახის წევრებს აქვთ სათანადო კომპეტენცია, სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტები არა ავთენტურია, გაკვეთილის თემები არ არის მათთვის საინტერესო, პირველივე კლასიდან ქართული ენის გაკვეთილზე მასწავლებელი ესაუბრება და უხსნის მასალას მოსწავლეებს აზრბაიჯანულ ენაზე, ფორმალურ გარემოში მეტყველების გაუმჯობესება ბევრად რთულია, ვიდრე არაფორმალურ გარემოში, მეტყველების უნარის გასაუმჯობესებლად აუცილებელია მრავალფეროვანი რესურსის

გამოყენება, რომელიც ჩვენი სკოლის პირობებში არ არის ხელმისაწვდომი: საკლასო ოთახებში არ არის ჩამრთველები, კომპიუტერი, სკოლაში არ არის თვალსაჩინოებები, არ არის სააქტო დარბაზი... სკოლის შენობა ძველია და თვით საკლასო ოთახები არაეთიკური შესახეობისაა, იმისათვის რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ კარგი სასწავლო გარემო.

ზემოთ მოყვანილ ინფორმაციაზე დაყრდნობით შევიმუშავეთ მეთოდები, რომლებიც დაგვეხმარება მოსწავლეებში ქართულ ენაზე მეტყველების უნარის გაუმჯობესებაში: ჯგუფებში/წყვილებში მუშაობა, დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება, ისტი-ით გამდიდრებული გაკვეთილების დაგეგმვა, არაფორმალურ გარემოში მუშაობა, როლური თამაშები, ღონისძიებებში მოსწავლეების ჩართვა. ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდები პასუხობს ესგ-თი განსაზღვრულ მიზნებსა.

ინტერვენციის დაგეგმვა.

შედეგებზე დაყრდნობით დაიგეგმა შემდეგი ინტერვენციები (4 თვის განმავლობაში თებერვალი-მარტი-აპრილი-მაისი)

1. ვიდეო რგოლის ჩვენება (შეცდომების დაშვების შიშთან გამკლავება);
2. საპრეზენტაციო თემების მომზადება და წარდგენა;
3. სხვადასხვა ორგანიზების ფორმის ხშირი გამოყენება;
4. ინტერვიუს აღება;
5. გამოცანების გამოცნობა;
6. დიალოგებისა და როლური თამაშების გათამაშება;
7. კვირაში ერთხელ თვითშეფასების კითხვარის შევსება;
8. დაკარგული სიტყვები;
9. ,,გამომიცანი“;
10. ,,აბსურდის ფილოსოფია“;
11. სიტყვების ახსნა/გამოცნობა;

12. გამოკითხვა წყვილებში;
13. **მთხრობელობა (story-telling);**
14. **დისკუსია/დებატები (discussions/debates);**
15. **სად დგახარ? Where do you stand?**
16. სისტემატურად დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება;
17. მოსწავლეების ჩართვა გაკვეთილის თემის შერჩევაში, აქტივობის დაგეგმვაში, შეფასების რუბრიკის შედგენაში.

ინტერვენციის შედეგები და მათი ანალიზი.

ინტერვენციების განხორციელებამ საკმაოდ დადებითი შედეგი გამოიღო მე-10 კლასის მოსწავლეთა უმრავლესობისთვის. კერძოდ:

1. დიფერენცირებული მიდგომა ენის ფლობის დაბალ დონეზე განსაკუთრებულად სასარგებლო და ნაყოფიერი აღმოჩნდა. მოსწავლეები აქტიურად ასრულებდნენ დავალებას და ერთვებოდნენ ყველა აქტივობაში. დახმარებას ითხოვდნენ თანაკლასელებისგან და ქართულ სიტყვებს იყენებდნენ ძალიან ხშირად. გარდა ამისა, მოსწავლეებისა და მასწავლებლების დადებითი კომენტარები მათ პროგრესზე დადებითად აისახებოდა.
2. ჯგუფებსა და წყვილებში მუშაობის ფორმები იყო ძალიან ნაყოფიერი. მოსწავლეებმა გამოვლინეს თანამშრომლობითი უნარები, ისინი ერთმანეთს ეხმარებოდნენ, უხსნიდნენ ბუნდოვან საკითხებს და ერთმანეთს ამზადებდნენ თემების/პასუხების წარსადგენად. ეს უკანასკნელნიც ენდობოდნენ თანაკლასელებს და ხალისით ასრულებდნენ დავალებებს.
3. საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა არაფორმალურ გარემოში მუშაობა. დიალოგები, როლური თამაშები განხორცილდა სკოლის ეზოში, გაჩერებაზე, მაღაზიაში, სატელეფონო საუბრის დროს. მოსწავლეებს ძალიან მოეწონათ და მაქსიმალურად აქტიურად ჩაერთვნენ ყველა აქტივობაში.

4. მოსწავლეებმა თავად შექმნეს სასწავლო რესურსი. ჩაწერეს დიალოგები, რომლის საშუალებითაც სხვა მოსწავლეებს შეუდგინეს დავალებები.
5. ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა გაკვეთილების ჩატარება ისტ-ისა და მომსასმენი ვიდეოების გამოყენებით. აღნიშნული მეთოდით მოსწავლეები უფრო ინტერესდებოდნენ და ერთვებოდნენ აქტივობაში, რაც იწვევდა სამეტყველო უნარების გაუმჯობესებას.

მონაცემთა შეგროვებამ და მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ

- მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ყველა ინტერვენციაში, რადგან გამოყენებული მეთოდების მოფიქრებაში თავად მიიღეს მონაწილეობა, ამიტომ უფრო პასუხისმგებლობითა და ინტერესით ეკიდებოდნენ დავალებებს.
- ფოკუსირებულმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ დაბალი მოსწრების მოსწავლეებს უჭირთ ახალ მასალაში გარკვევა, რის გამოც ეცემა მათი ინტერესი და, შესაბამისად, გაკვეთილზე უფრო ინერტულები ხდებიან.
- დიაგნოსტიკურმა ტესტმა ჩვენა, რომ ენის ფლობის დონეზე მოსწავლეთა 34% (5 მოსწავლე) აჩვენა არადამაკმაყოფილებელი შეფასება, 7 % (1 მოსწავლე) - დაბალი, 34 % (5 მოსწავლე) საშუალო, 25 % (4 მოსწავლე) საშუალოზე მაღალი, 0% მაღალი
- დიაგნოსტიკურმა ტესტმა ინტერვენციების დაგეგმვის შემდეგ რომ ენის ფლობის დონეზე მოსწავლეთა 14% (2 მოსწავლე) აჩვენა არადამაკმაყოფილებელი შეფასება, 26 % (4 მოსწავლე) - დაბალი, 25 % (4 მოსწავლე) საშუალო, 20 % (3 მოსწავლე) საშუალოზე მაღალი, მოსწავლეთა 20% (3 მოსწავლე) მაღალი.
- მშობლების გამოკითხვამ, აჩვენა, რომ მათ (100%) სურთ, რომ თავიანთმა შვილებმა იცოდნენ ქართული ენა ელემენტარულ დონეზე მაინც, მაგრამ თავად ვერაფრით ვერ ეხმარებიან.

- მშობელთა 67% (10 მშობელი) მიიჩნევს, რომ თვიანთი შვილების წარმატება მასწავლებელზე არის დამოკიდებული. მშობელთა 33% (5 მშობელი) მიიჩნევს, რომ თავიანთი შვილები ხშირად აცდენენ, ზარმაცობენ და მასწავლებელი ვერაფრით დაეხმარება.
- ღია და დახურული ანკეტირების საფუძველზე გამოიკითხა 15 მოსწავლე. დადგინდა, რომ
- გაკვეთილი უფრო ნაყოფიერია, როცა მასწავლებელი ისტ-ითა და მოსასმენი ვიდეოების გამოყენებით ატარებს გაკვეთილს.
- მოსწონს 93% (14 მოსწავლე) არ მოსწონს 7 % (1 მოსწავლე)
- შედეგი უფრო თვალსაჩინოა, როცა მასწავლებელი იყენებს დიფერენცირებულ მიდგომას.
- მოსწონს 86 % (13 მოსწავლე) არ მოსწონს 14 % (2 მოსწავლე)
- გაკვეთილი უფრო საინტერესოა, როცა მასწავლებელი თავად ქმნის სასწავლო მასალას მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით, რადგან სახელმძღვანელოში მოცემული თემები არასაინტერესო და არაავთენტურია.
- ეთანხმება მოსწავლეთა 100 % (15 მოსწავლე)
- ქართულ ენაზე მეტყველების არსებულ სიძნელეს მოსწავლეები ხსნიან:
- სიზარმაცით 33 % (5 მოსწავლე)
- არაქართულენოვანი გარემოთი 46 % (7 მოსწავლე)
- ტრადიციული გაკვეთილით 21 % (3 მოსწავლე)
- კითხვაზე, ხომ არ გაქვთ ქართულ ენაზე მეტყველების დროს შეცდომების დაშვების შიში? მოსწავლეები პასუხობენ, რომ შიში არ აქვს 13 % (2 მოსწავლე), აქვს შიში 7 %(1 მოსწავლე), ნაწილობრივ ეშინია 67 % (10 მოსწავლე), არ უფიქრია 13 % (2 მოსწავლე).

ღია კითხვებში მოსწავლეებმა დააფიქსირეს საკუთარი შეხედულება. კითხვაზე, თუ რატომ სურს ქართული ენის (ზეპირმეტყველების) შესწავლა, მოსწავლეთა 86 % (13 მოსწავლე) განაცხადა, რომ ქართული ენა მათი მომავლის იარაღია, სწორედ ქართული

ენის ფლობა განსაზღვრავს მათ მომავალს. გარდა ამისა, ისინი აღნიშნავენ, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ჰქონდეს იმის უნარი თავისუფლად ინტეგრირდეს ქართულ საზოგადოებაში. მოსწავლეთა 14 %(2 მოსწავლე) თავი შეიკავა კითხვისგან და დააფიქსირა, რომ ჩამორჩა სასწავლო პროცესს, უჭირს გარამატიკული კონსტრუქციების გამოყენება და ლექსიკის შესწავლა.

კითხვაზე სრულყოფილად ფლობთ თუ არა ქართულ ენას მოსწავლეთა 33 % (5 მოსწავლე) მიიჩნევს, რომ საეთოდ არ იცის, 46 % (7 მოსწავლე) მიიჩნევს, რომ ცუდად იცის. ხოლო 20% (3 მოსწავლე) მიიჩნევს, რომ საშუალოდ იცის.

მოსწავლეთა უმრავლესობა მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებით შესაძლებელია ქართულ ენაზე მეტყველების უნარის გაუმჯობესება იმ დონემდე, რომ მათ შეძლონ კომუნიკაცია დაამყარონ ნებისმიერ ქართულენოვან გარემოში.

ინტერვენციების დროს გამოყენებული ინოვაციური მეთოდები მართლაც შეესაბამება თანამედროვე სწავლების მოთხოვნებს, თუმცა მათი ხშირი და სისტემატიური გამოყენება ვერ ხერხდება, რადგან დამატებით დროს, რესურსა და ხარჯებს მოითხოვს, რისი საშუალებაც მხოლოდ ერთ მასწავლებელს, ბუნებრივია, ვერ ექნება.ვფიქრობ, კარგი იქნება სასწავლო წელი მთლიანად ეთმობოდეს ზეპირმეტყველების უნარის გაუმჯობესებას, რადგან მოსწავლეებმა სკოლის დამთავრების შემდეგ მინიმალურ დონეზე მაინც შეძლონ ზეპირმეტყველება და საზოგადოებაში ინტეგრაცია. არ ჰქონდეთ შიში მაღაზიაში, ბანკში, ექიმთან მისვლის.

თავი V

ცხრილებისა და გრაფების ჩამონათვალი

დიაგნოსტიკური ტესტის შედეგები

1. ინტერვენციამდე

ქულა	10-9	8-7	6-5	4-3	2-1
შეფასება	0	4	5	1	5

2. ინტერვენციის შემდეგ

ქულა	10-9	8-7	6-5	4-3	2-1
შეფასება	3	3	3	4	2




4. მოგწონთ თუ არა სწავლების დიფერენცირებული მიდგომა?
მომწონს
არ მომწონს


5. ეთანხმებით თუ არა იმ მოსაზრებას, რომ მასწავლებლის მიერ ორგანიზებული სასწავლო მასალა უფრო ეფექტურია?
დიახ
არა

6. თვლით თუ არა , რომ სახელმძღვანელოში მოცემული თემები არასაინტერესო და არაავთენტურია?



7. რით ხსნით ქართულ ენაზე არსებული მეტყველების სიძნელეს?







თავი VI

პრაქტიკული კვლევის არსი და სკოლაში მისი დანერგვა.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნაა მასწავლებლებში პრაქტიკული კვლევის კომპეტენციის უნარის ფლობა. მასწავლებელი კოლეგებთან ერთად გეგმავს

სპეციალურ კვლევით სამუშაოებს, ახორციელებს მათ და იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში(პროფესიული განვითარება, მუხლი 133).

1) მასწავლებელს შეუძლია საკვლევი საკითხის დამოუკიდებლად განსაზღვრა, კვლევის ჩატარება, მონაცემთა დამუშავება-ინტერპრეტაცია, კვლევის შედეგების გამოყენება, საკუთარი და კოლეგების გასაუმჯობესებლად (პროფესიული განვითარება, მუხლი 139).
2) სწორედ ამიტომ ,,მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ მიხედვით წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობაა საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში იდენტიფიცირებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პრაქტიკული კვლევის განხორციელება, ხოლო მენტორისსტატუსის მოსაპოვებლად პრაქტიკული კვლევის განხორციელება სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე.

   კვლევა არის ახალი ცოდნის ძიება, მისი სისტემატური დოკუმენტირება და გაფორმება კვლევის ანგარიშის, სტატიის, პროექტის და სხვა სახით.

   პროფესიონალია მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია პედაგოგიური საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება, მისი გადაჭრის გზების ძიება, პოვნა. ახალი იდეების, სტრატეგიების პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვა. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მარტო წამოჭრილი სიძნელეების დროს კი არ არის საჭირო, არამედ ახალი იდეების, ინოვაციების გამოსაცდელად.

   ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევა და კვლევის შედეგების გაზიარება დაეხმარება კოლეგებს თვითონ წარმართონ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ, გამოიყენონ ინტერვენციები, რომლებმაც დადებითი შედეგი გამოიღო სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში.

თავი VII

პროექტის ვადები, მიზნებები, რეკომენდაციები, კვლევის ნაკლოვანებები, დასკვნა, ბიბლიოგრაფია.

პროექტის ვადები:

აქტივობები	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
პრობლემის იდენტიფიცირება	√			
კვლევის გეგმის შემუშავება	√			
პრეტესტისა და კითხვარების შევსება	√			
კითხვარის შევსება მშობლების მიერ	√			
კითხვარის შევსება მოსწავლეების მიერ	√			
კოლეგებთან გასაუბრება	√	√	√	√
მონაცემების ანალიზი	√			
პრეტესტის ჩატარება (კითხვებზე პასუხი, სიტუაციური ამოცანები)	√			

მოსწავლეებისათვის თვითშეფასების კითხვარის შედგენა	√			
მოსწავლეების მიერ თვითშეფასების კითხვარის შევსება		√	√	√
შეფასების რუბრიკის შედგენა		√	√	√
მიღებული შედეგების ანალიზი	√			√
ვიდეოს ნახვა, რომელზეც პრეზენტატორი უშვებს შეცდომას	√			
ინტერვენციის დაგეგმვა	√			
ინტერვენციების განხორციელება	√	√	√	√
ინტერვენციების შედეგების ანალიზი				√

მიგნებები და რეკომენდაციები.

კვლევის შედეგების ანალიზის მიხედვით შეიძლება ითქვას , რომ აუცილებელია შეიცვალოს სახელმძღვანელოში მოცემული თემები, მეტყველების უნარ-ჩვევის გასავითერებელი აქტივობები იყოს კარგად ორგანიზებული, დამუშავებული (გამზადებული ტექსტები როლური თამაშებისთის, სიტუაციები) და არა ზოგადი.

სახელმძღვანელოში შეტანილი ტექსტები იყოს ავთენტური, რომლებიც მოსწავლეს განაწყობს, მიღბული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკაში, დაამყაროს კომუნიკაცია. პრობლემას ქმნის ისეთი თემების არსებობა, რომლებიც მოსწავლეებს არ აინტერესებს. ამგვარი დავალებები უკარგავს მოსწავლეებს ინტრესსა და მოტივაციას. მეტყველების უნარის გაუმჯობესების პრობლემაზე მუშაობისას ყველაზე მეტად დაგვეხმარა გაკვეთილების დაგეგმვა ისტ-ისა და მოსასმენი ვიდეოების გამოყენებით, რომელზეც ვაგებდი მრავალფეროვან აქტივობებს. სამწუხაროდ, დიდ შრომას და დროს მოითხოვს მსგავსი გაკვეთილების სისტემატური დაგეგმვა. საკლასო ოთახებში არ არის ჩამრთველები და მოსწავლეებს სისტემატურად უწევდათ ისეთ კლასში შესვლა, რომელში კომპიუტერი იყო, სადაც გარემო მოუწესრიგებელი იყო. გარდა ამისა, პრობლემას ქმნის რესურსებიც, რომელსაც მხოლოდ ერთი მასწავლებელი ვერ გაწვდება. მნიშვნელოვანი მიგნება გახლდათ დიფერენცირებული მიდგომა. მოსწავლეებისათვის მათი ენის ცოდნის დონის შესაბამისი დავალებების მიცემა მოსწავლეებისათვის სახალისო აღმოჩნდა. მათ არ ეზარებოდათ დავალებების შესრულება მაშინ, როცა ინტერვენციებამდე მათ ტექსტში ჩახედვა და მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემაც კი ეზარებოდათ, რადგან ფიქრობდნენ, რომ ვერ შეძლებდნენ. კლასში ყველა მოსწავლე აღნიშნავდა, რომ ძალიან კარგი იყო მათთვის თავიდან დაწყება, რადგან ეს შედეგს აუცილებლად გამოიღებდა. მართალია, ეს მოსწავლეები ვერ დაეწივნენ ცოდნის დონით თანაკლასელებს, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს წინ ამ რთულ საკითხში. თვითშეფასების კითხვარს მოსწავლეები დიდი მონდომებით ავსებდნენ, თუმცა გამოიკვეთა, რომ ისინი არაობიექტურები იყვნენ თვითშეფასების დროს, მიუხედავად იმისა, რომ მათ იცოდნენ თვიშეფასების კითხვარის დანიშნულება და ის გარემოება, რომ ეს მათ განმსაზღვრელ შეფასებაზე არ აისახებოდა. მნიშვნელოვანი მიგნება იყო არაფორმალური გარემო.მოსწავლეები მეტად თავისუფალნი, ხალისიანები, უფრო გაბედულები იყვნენ, ვიდრე გაკვეთილზე. გარდა ამისა, არაფორმალური გარემო იყო სიახლე მათთვის, მოსწავლეების პროგრესიც უფრო თვალშისაცემი იყო.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ კვლევა წარმატებით ჩატარდა. საკითხისადმი ინტერესი გამოამჟღავნა მოსწავლეთა უმეტესობამ. მეტნაკლებად გაუმჯობესდა პრობლემა პირველ სემესტრთან შედარებით, რაც პოსტტესტშია ასახული. უკეთესი შედეგის მიღებაც შეიძლებოდა, მაგრამ მოსწავლეთა ნაწილში შეიმჩნეოდა ხშირი გაცდენები. გარდა გაცდენებისა, ქართული ენის სამეტყველო უნარის გაუმჯობესება საკმაოდრთული პროცესია, რომლისთისაც 4 თვე არ არის საკმარისი, მაშინ როცა სამიზნე ჯგუფი არის იზოლირებული. ვფიქრობთ, მშობლებისა და მასწავლებლების ჩართულობაც უფრო კარგ შედეგს გამოიტანდა, თუმცა მათ არ ისურვეს აქტიურობა.

დასკვნა: აუცილებელია დავამყაროთ ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობები, გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ინტერესები სასწავლო პროცესში, სისტემატურად გამოვიყენოთ თანამედროვე, ინოვაციური სწავლების მეთოდები, გაკვეთილები ჩავატაროთ მრავალფეროვანი აქტივობებისა და რესურსების გამოყენებით, რათა მოსწავლეებს გამოვუმუშაოთ 21-ე საუკუნისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, რათა გახდნენ კონკურენტუნარიანები მსოფლიო გამოწვევების წინაშე.

კვლევის ნაკლოვანებები.

კვლევის ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მოსწავლეთა 33 % (5 მოსწავლე) გაკკვეთილს ხშირად აცდენდა საგაკვეთილო პროცესს და სასურველი შედეგი, რა თქმა უნდა, არ დადგა. მართალია, ყველა მშობელმა შეავსო კითხვარი, მაგრამ არცერთმა არ გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიეღო კვლევის პროცესში, რა თქმა უნდა, მშობლების თანადგომა უფრო კარგ შედეგს მოგვცემდა. არ გაამართლა თვითშეფასების კითხვარმა. კვლევის დაგეგმვის პროცესში, შეგნებულად ავარიდე თავი ურთიერთშეფასების რუბრიკის შეტანას, რათა გარკვეული დისკომფორტი არ გამოეწვია და ურთიერთდაცინვის საგანი არ გამხდარიყო. თუმცა ახლა ვფიქრობ, რომ შეიძლება ურთიერთშეფასების რუბრიკას შესაძლოა უფრო გაემართლებინა.

ბიბლიოგრაფია

1. დავით ახვლედიანი ,,მეტყველების განვითარებისთვის გამიზნული აქტივობები უცხოური ენის სწავლებისას“ 2015წ. http://mastsavlebeli.ge/?p=4351
2. ეროვნული სასწავლო გეგმა, ქართული, როგორც მეორე ენის სტანდარტი, 2011-2016 წწ. - http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/mimdinare-esg-2011-2016
3. თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე ,,ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდიკა“ 2013 წ. სახელმძღვანელო http://geofl.ge/#!/page_metodic
4. თინათინ კიღურაძე, ეკათერინე ქუთათელაძე ,,ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდიკა“ 2013 წ. რვეული http://geofl.ge/additions/metodik/w.php?let=3
5. მაყვალა ხარშილაძე , თამარ კერძაია, ნანა ბერეკაშვილი - ,,სახელმწიფო ენა და ინტეგრაციის პრობლემები“, 2011 - სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები, პრობლემები და გამოწვევები.
6. ნათია ქათამაძე , 2016 წელი, ზეპირმეტყველების უნარის განვითარება უცხო ენის სწავლების პროცესში.http://mastsavlebeli.ge/?p=8555
7. ნათია ქათამაძე ,,**ზეპირმეტყველების უნარის განვითარება უცხო ენის სწავლების პროცესში“, 2011 წელი** - სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები, პრობლემები და გამოწვევები.
8. ნათია გორგაძე - ,,ენის შესწავლის სტრატეგიები და მისი აქტუალობის კვლევა ქართულის, როგორც მეორე ენის დასწავლის გაუმჯობესებისათვის“, 2011წ. - სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები, პრობლემები და გამოწვევები.
9. როგორ დავძლიოთ აუდიტორიის წინაშე გამოსვლის შიში? https://www.youtube.com/watch?v=e_E5WaHuEgw&t=183s

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის

რეფლექსია

მასწავლებელი: მაგდანა ერაძე

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ აზიზკენდის

საჯარო სკოლაში ჩავატარე

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

,,მე-10 კლასის მოსწავლეებში ქართულ ენაზე

მეტყველების უნარის გაუმჯობესების გზების კვლევა“

კვლევის მიზანი იყო დამედგინა მე-10 კლასის მოსწავლეებში ქართულ ენაზე მეტყველების პრობლემის მიზეზი და ინტერვენციების საშუალებით მომეხერხებინა ამ პრობლემის გადაჭრა.

მიღებული შედეგი დადებითია და ვთვლი, რომ შეიძლებოდა მისი კოლეგებთან გაზიარება.

კვლევა განხორციელდა 2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრში მე-10ა კლასში. გრძელდებოდა 4 თვის განმავლობაში. კვლევა ჩატარდა როგორც თვისებრივი ისე რაოდენობრივი თვისებების გამოყენებით. ინსტრუმენტებს კი წარმოადგენდა ფოკუსირებული დაკვირვება, ინტერვიუ, ღია და დახურული კითხვარი. შედეგის მისაღწევად გამოვიყენე ინტერვენციები, რომლებიც კვლევის პროცესში საჭიროებიდან გამომდინარე დავგეგმე.

ინტერვენციების დაგეგმვამდე გავესაუბრე თანამშრომლებს, ვინც მათ ასწავლიდა მე-10 კლსამდე, მშობლებს ვთხოვე კითხვარის შევსება. მოსწავლეთა გამოკითხვა კითხვარების საშუალებით იყო ანონიმური, რომელიც ვაწარმოე წერილობითი

ფორმით. ჩავატარე დიაგნოსტიკური გამოკითხვა. შედეგები დამაკმაყოფილებელი იყო.

დავგეგმე ინტერვენციები პრობლემის გადასაჭრელად.

1. ვნახეთ შიშის ფაქტორის გასაქრობად ვიდეო, რომელიც ემსახურებოდა მოსწავლეებში შიშისა და ნერვიულობის დაძლევას. მოსწავლეებს მოეწონათ ვიდეოში გამოთქმული მოსაზრებები და იმსჯელეს, რომ ნამდვილად არ არსებობს ისეთი წინაღობა, რომელსაც ვერ გადალახავენ.
2. ვიმუშავეთ დიფერენცირებულ ჯგუფებში/წყვილებში. მოსწავლეები აქტიურად ერთვებოდნენ დავალებებში, რადგან მიწოდებული დავალებები მათი ცოდნის შესაბამისი იყო. მოსწავლეებმა გამოავლინეს თანამშრომლობითი უნარი, ისინი ერთმანეთს ეხმარებოდნენ, ამხნევებდნენ, უხსნიდნენ ბუნდოვან საკითხებს და ამზადებდნენ სიტყვით გამოსვლაში.
3. მოსწავლეები ჩავრთე სასკოლო ღონისძიებებში ,,9 აპრილი“, ,,დედაენის დღე“, ვიქტორინაში ,,ბუნებრივი მოვლენები“, ,, სასკოლო ბულინგი და ბულინგის პრევენცია“. მოსწავლეებმა მოამზადეს საკონფერენციო თემები, რამაც გააუმჯობესა მათი ენის ფლობის დონე.
4. მოსწავლეებს გასაკუთრების მოეწონათ ისტ-ითა და მოსასმენი ვიდეოებით გამდიდრებული გაკვეთილები, ისინი ინტერესდებოდნენ, ვიზუალურად აღიქვამდნენ საკითხს და უფრო აქტიურად ასრულებდნენ დავალებებს.
5. არაფორმალურ გარემოში აქტივობების დაგეგმვამ უფრო გააქტიურა და გაახალისა მოსწავლეები. შიშის ფაქტორი საერთოდ გაქრა და ყველა მოსწავლე მაქსიმალურად ცდილობდა შესაძლებლობების გამოვლენას.
6. გამოვიყენე თვითშეფასების კითხვარი, რომელმაც არ გაამართლა, რადგან მოსწავლეები არაობიექტურად აფასებდნენ საკუთარ თავს. შეიძლებოდა ურთიერთშეფასების კითხვარის გამოყენება, მაგრამ შეიძლებოდა არაჯანსაღი დამოკიდებულებები გამოევლინათ, ერთმანეთისთვის დაეცინათ, სწორედ

ამიტომ ვამჯობინე თვითშეფასების კითხვარი. თუმცა, ახლა ვფიქრობ, რომ შეიძლება ურთიერთშეფასების კითხვარს უფრო გაემართლებინა.

7. კვლევის დასასრულ ჩავატე დიაგნოსტიკური ტესტი, რომლის შედეგებიც ასახულია კვლევაში. შედეგი სასურველი გახლდათ იმდენად, რომ თითოეულ მოსწავლეს ეტყობოდა პროგრესი, მართალია ამ პროგრესს ვერ დავარქმევ იმას, რომ უმრავლესობა გამართულად საუბრობს ქართულ ენაზე, მაგრამ ენის ფლობის დაბალ დონეზე მყოფმა მოსწავლეებმა გაიუმჯობესეს მეტყველების უნარ-ჩვევა და ელემენტარულ დონეზე შეუძლიათ საუბარი, დიალოგში ჩართვა, მოკლე პასუხების გაცემა. ის მოსწავლეები რომლებიც საშუალოდ ფლობდნენ, გაიუმჯობესეს მეტყვეება, უფრო გაბედულები გახდნენ, გაიმდიდრეს ლექსიკური მარაგი და გამოასწორეს გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენება. შედარებით ენის ფლობის მაღალ დონეზე მყოფი მოსწავლეები გაიწაფნენ და უპრობლემოდ შეძლეს აქტივობებში ჩართვა (წინასწარ მომზადებული და შესწავლილი მასალა გამოიყენეს თავისუფლად მეტყველებაში, თუმცა ყოველთვის უშეცდომოდ არა.

კოლეგებს ვესაუბრე ჩემი კვლევის განხორციელების შესახებ, გავუზიარე როგორ გამოვკვეთეთ პრობლემა, დავისახეთ მიზანი და გავაცანი ის მეთოდები, რომლებიც გამოვიყენეთ კვლევის პროცესში. კვლევის შედეგების გაზიარება თანამშრმლებისთის საინტერესო იყო, რამდენიმე მასწავლებელი დაინტერესდა ჩემი კვლევით და დაწვრილებით გამოიკითხა, როგორ ხდებოდა მისი განხორციელება. რამდენჯერმე დამესწრნენ გაკვეთილზე და დაინახეს შედეგი, რომელიც სკოლის საზოგადოებას გაუზიარეს. ჩემი კოლეგებისთვის თვალშისაცემი გახდა ის, რომ კვლევის განხორციელებამ ძალიან გააქტიურა ბავშვები და ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი ყველა დაგეგმილ აქტივობაში. ერთ-ერთმა მასწავლებელმა მომაწონდა იდეა, რომ კარგი იქნებოდა გამოყენებული აქტივობები დოკუმენტირებულად ჩაგვედო კათედრის

სხდომის ანგარიშში, გამოგვეყენებინა გაკვეთილზე და დავსწრებოდით ერთმანეთს და მიგვეცა ერთმანეთსთის უკუკავშირი. ურთიერთდასწრება დაგვგეგმეთ მომდევნო სასწავლო წლიდან. გარდა ამისა, კოლეგებისგან წამოვიდა იდეა, რომ პალალელური კლასები მომავალი წლიდან დაგვეყო ენის ფლობის დონის შესაბამისად, რათა დიფერენციირებული მიდგომის დროს ძალიან დიდი განსხვავება არ იყოს სასწავლო მასალაში. მისი აზრით, მოსწავლეები უფრო ადვილად ჩაერთვებიან. მასწავლებლებს ძალიან მოეწონათ არაფორმალურ გარემოში ჩატარებული აქტივობები, მათ აღნიშნეს, რომ აუცილებლად გამოიყენებენ ამ მეთოდს და გაკვეთილებს სკოლის გარეთ, სხვადასხვა სიტუაციაში გამოიყენებენ. მასწავლებელთა უმრავლესობა სკეპტიკურად უყურებს საკითხს და მიიჩნევს, რომ დროის ფუჭად კარგვაა. ალბათ, ეს იმის ბრალია, ჯერ პრაქტიკოსი მასწავლებლები არიან, სურთ უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოპოვება და ჯერ კარგად არ არიან ჩახედულნი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის განხორციელების საკითხში.

დანართი 1.

დიაგნოსტიკური ტესტი (ინტერვენციების განხორციელებამდე)

1. ისაუბრე შენ შესახებ (რა გქვია? სად დაიბადე? სად ცხოვრობ? სად სწავლობ? ვისთან ერთად ცხოვრობ? დაასახელე შენი საყვარელი საქმიანობა! რა მოგწონს? რა გიყვარს? რა გაინტერესებს?
2. ისაუბრე შენი საუკეთესო მეგობრის შესახებ!
3. ისაუბრე შინაური და გარეული ცხოველების შესახებ!
4. ისაუბრე მავნე ჩვევების შესახებ! რომელია შენთვის მისაღები, რომელია საზიანო, რომელი არ არის საზიანო? რომელია საშიში ჯანმრთელობისთვის და რატომ?
5. წარმოიდგინე მიდიხარ თბილისში. მე სამარშრუტო ტაქსიში ვზივარ. შენ გინდა, გაარკვიო სად მიდის სამარშრუტო ტაქსი. გამესაუბრე!
6. მე ვარ მაღაზიის გამყიდველი, შენ გსურს პურის, კვერცხისა და კარტოფილის ყიდვა. გაქვს 10 ლარი. გამესაუბრე და შეიძინე სასურველი პროდუქტი!

დანართი 2.

დიაგნოსტიკური ტესტი (ინტერვენციების დაგეგმვის შემდეგ):

1. ისაუბრე შენს შესახებ!
2. ისაუბრეთ სტიქიური მოვლენების შესახებ! რომელი სტიქიური მოვლენები იცით, რომელი ხდება ხშირად საქართველოში? რომელია ცნობილი სტიქიუური მოვლენა? რას იწვევს სტიქიური მოვლენები?
3. ისაუბრე ჯანსაღი ცხოვრების შესახებ!
4. ისაუბრე საქართველოში გავრცელებული ტრადიციების შესახებ!
5. სიტუაციური ამოცანები: მაღაზიაში, გაჩერებაზე, უნივერსიტეტში პირველი დღე,სატელეფონო საუბარი, საუბარი მოსალოდნელი შეხვედრის შესახებ.
6. მოიფიქრე ხუთი შეკითხვა, რაც ყველაზე მეტად გაინტერესებს!
7. ისაუბრე შენი სკოლის შესახებ!
8. ისაუბრე დედაენის შესახებ!
9. ისაუბრე სასკოლობულინგის შესახებ!
10. ისაუბრე პირადი ნივთების შესახებ!
11. ისაუბრე შენი მეგობრის შესახებ!
12. ისაუბრე სამომავლო გეგმების შესახებ!

    შენიშვნა: მასწავლებელი ენის ფლობის დაბალი დონის მოსწავლეებთან სვამს მარტივ კითხვებს.

დანართი 3.

კითხვარი მშობლებისათვის

მოგესალმებით!

ქართული, როგორც მეორე ენის მასწაცლებელი მაგდანა ერაძე ვატარებ კვლევას მე-10ა კლასში ქართული ენაზე სამეტყველო უნარის გასაუმჯობესებლად. თქვენი, როგორც მშობლის მონაწილეობაძა ძალიან მნიშვნელოვანია კვლევის წარმატებით

განხორციელებისათვის. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია. საჭირო არაა კითხვარზე სახელისა და გვარის მითითება.

1. ფლობს თუ არა თქვენი შვილი სახელმწიფო ენას?
2. რა არის ამის მიზეზი?
3. კონკრეტულად რა პრობლემები აქვს თქვენს შვილს სახელმწიფო ენის სწავლების პროცესში?
4. ეხმარებით თუ არა თქვენს შვილს გაკვეთილების მომზადებაში?
5. რა გააუმჯობესებს სახელმწიფო ენის ფლობის დონეს თქვენს შვილში?
6. კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი შვილის ქართული, როგორც მეორე ენის მასწავლებლით? პასუხიდაასაბუთეთ.
7. საჭიროა თუ არა სახელმწიფო ენის შესწავლა? პასუხი დაასაბუთეთ!
8. კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენიშვილის შედეგით ქართული, როგორც მეორე ენის საგანში?
9. რაშიდაეხმარება სახელმწიფო ენის შესწავლა თქვენს შვილს?

ხშირად აცდენს თუ არა თქვენი შვილი გაკვეთილებს? თუ დიახ, ახსენით მიზეზი.

მადლობას მოგახსენებთ კვლევაში მონაწილეობისათვის!

დანართი 4.

კითხვარი მოსწავლეებისათვი

მოგესალმებით!

ქართული, როგორც მეორე ენის მასწაცლებელი მაგდანა ერაძე ვატარებ კვლევას მე-10ა კლასში ქართული ენაზე სამეტყველო უნარის გასაუმჯობესებლად. თქვენი, როგორც მოსწავლის მონაწილეობაძა ძალიან მნიშვნელოვანია კვლევის წარმატებით განხორციელებისათვის. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია. საჭირო არაა კითხვარზე სახელისა და გვარის მითითება.

1. არის თუ არა ქართლი ენის მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა პოზიტიური და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული?

   ა.დიახ ბ. არა გ. ნაწილობრივ

2. რა დონეზე ფლობ სახელმწიფო ენა?

   ა. ძალიან კარგად ბ. საშუალოდ გ. ცუდად დ. საერთოდ არ ვიცი

3. გსურს თუ არა, რომ სრულყოფილად ფლობდე ქართულ ენას?
4. რით ხსნით ქართულ ენაზე მეტყველების სიძნელეს?

   ა. სიზარმაცით ბ. ტრადიციული გაკვეთილებით გ. არაქართულენოვანი გარემოთი

5. ხომ არ გაქვთ ქართულ ენაზე მეტყველების დროს შეცდომების დაშვების შიში?

   ა. არა ბ. დიახ გ. ნაწილობრივ დ. არ მიფიქრია

6. რისთვის გჭირდება ქართული ენის შესწავლა?
7. როგორი გაკვეთილი არის შენთვის შედეგიანი მეტყველების უნარის გასაუმჯობესებლად?

   ა. ტრადიციული, მოყევი გაკვეთილი. ბ. მრავალფეროვანი აქტივობებით გამდიდრებული. გ. ისტ-ითა და მოსასმენი ვიდეოებით გამდიდრებული

8. რა არის იმის მიზეზი, რომ სათნადოდ ვერ ფლობ ქართულ ენას?

   ა. სიზარმაცე ბ. ტრადიციული გაკვეთილები გ. არაქართულენოვანი გარემო

9. ეთანხმებით თუ არა იმ მოსაზრებას, რომ მასწავლებლის მიერ ორგანიზებული სასწავლო მასალა უფრო ეფექტურია?

   ა.დიახ ბ.არა

10. თვლით თ არა , რომ სახელმძღვანელოში მოცემული თემები არასაინტერესო და არაავთენტურია?
11. ა. დიახ ბ. არა
12. მოგწონთ თუ არა სწავლების დიფერენცირებული მიდგომა?

    ა. დიახ ბ. არა

მადლობას მოგახსენებთ კვლევაში მონაწილეობისათვის!

დანართი 5.

თვითშეფასების კითხვარი მოსწავლეებისათვის.

კითხვარი ივსება კვირაში ერთხელ !

ინდიკატორები	დიახ	არა	ნაწილობრივ
საშინაო დავალების მომზადება			
აქტივობებში აქტიური მონაწილეობა			
ნასწავლი მასალის გამოყენება			
თანაკლასელების დახმარება			